განვითარებულ ქვეყნებში უნივერსალური ეგმ-ისა და პერსონალური კომპიუტერების ფართო დანერგვის საფუძველზე ინფორმაციის სწრაფად გადასაცემებამ განაპირობა საინჟინრო, საკონსტრუქტორო და საკანტორო შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლება. ამასთან, 70-იან წლებთან შედარებით, ამჟამად სამრეწველო წარმოებაში მნიშვნელოვნად შემცირდა ერთეული პროდუქციის ენერგო - და მასალატევადობა, რაც რესურსდამოზოგველი ეკონომიკის სწრაფი განვითარების მაჩვენებელია. ამ ქვეყნებში სამრეწველო წარმოებამ არსებითად შეიცვალა იერსახე: მასალატევადი, სანედლეულო ტიპის დარგების (შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიურის, ნავთობქიმიურის და ა. შ.) ადგილს სულ უფრო იკავებს მეცნიერებატევადი დარგები, რომელთა პროდუქციისა და უახლეს ტექნოლოგიას (სამრეწველო ელექტრონიკას, რომოტოტექნიკას, ლაზერულ ტექნიკას, საამწყობო ავტომატურ ხაზებს, ბიოტექნოლოგიას, ნახევარგამტარულ ტექნიკას, მიკროელექტრონიკას და

სხვა) არსებითი ცვლილებები შეაქვს წარმოების ციკლში, და საერთოდ, ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში<sup>1</sup>.

განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ იკიდებს ფეხს საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა. ამჟამად კომპლექტურიზებული საცხოვრებელი სახლების ხვედრითი წილი საფრანგეთში შეადგენს 3%-ს, გერ-ში - 5%-ს, ხოლო იაპონიაში - 9%-ს [8, გვ. 50].

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფმა განვითარებამ კოლოსალურად გაზარდა მოთხოვნა, როგორც მატერიალური (წარმოებითი) ისე არამატერიალური (არაწარმოებითი) მომსახურების მიმართ. მან დააჩქარა სპეციალიზებული სერვისული ფირმების ჩამოყალიბება, რომლებმაც თავიანთ თავზე აიღეს ისეთი ფუნქციები, რომლებსაც წინათ თვით სამრეწველო კომპანიები ასრულებდნენ. სერვისული ბიზნესის მასშტაბების გაფართოებამ და მომსახურების სექტორის განუწყვეტელმა განახლებამ მკვეთრად გაზარდა მომსახურების მოხმარება. მომსახურების ისეთმა სექტორებმა როგორცაა: საბანკო საქმე, დაზღვევა, განათლება, რეკლამა, სასასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, ბაზრების გამოკვლევა, საინფორმაციო სერვისი, კონსულტაციები მართვის საკითხებში, მსხვილი კორპორაციების შტაბბინების მოწყობა და მათი მომსახურება, ტურიზმი და სხვა, მთელი ეკონომიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. სერვისული საქმიანობის განვითარების მთავარი წყარო ტექნოლოგიური სიახლეები გახდა. მაგალითად, 80-იან წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყველაზე დინამიკური ის დარგები იყო, რომლებიც ბაზარს მოწოდებდა საინფორმაციო ტექნოლოგიით წარმოებულ მომსახურებას აწვდიდა და ვაჭრობდა თვით ინფორმაციით. 1984 წელს ევროპული საინფორმაციო ბაზრებისგან მიღებული შეჯამებული შემოსავალი 270 მლნ დოლარს შეადგენდა, ხოლო 1991 წელს იგი 5 მლრდ დოლარამდე უნდა გაზრდილიყო, რაც უპრეცედენტოდ მაღალ, ორმოცპროცენტიან მატების საშუალო წლიურ ტემპზე მიუთითებს [9, გვ. 183].

ცივილიზებულ ქვეყნებში მომსახურების სფეროს განვითარების ტემპების დაჩქარებას დიდად შეუწყო ხელი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებამ. მან მნიშვნელოვნად გაზარდა მომსახურების წილი პირადი მოხმარების სტრუქტურაში. მოსახლეობამ თავისი შემოსავლების სულ უფრო მეტი ნაწილის გამოყოფა დაიწყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისათვის და ა. შ. მომსახურების ხვედრითი წილი პირადი მოხმარების სტრუქტურაში საშუალოდ აშშ-ში შეადგენს 31%-ს, ინგლისში - 37%, შვეციაში - 41%-ს [10, გვ. 21]. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი მსოფლიოში ყველაზე მაღალია იაპონიაში. ამომავალი მზის ქვეყანაში მომსახურების ხვედრითი წილი ოჯახის ბიუჯეტის სტრუქტურაში, ჯერ კიდევ 1970 წელს შეადგენდა 42.3%-ს, 1975 წელს - 46.5%, ხოლო 1988 წელს - 52.7%-ს [1, გვ. 141] ძირითადად ეს აიხსნება იმით, რომ მაღალი კვალიფიკაციის გამო იაპონელი მუშა ყველაზე ძვირადღირე-

1 მასალატევად დარგებშიც მიმდინარეობს შესამჩნევი ცვლილებები მეცნიერებატევადი წარმოების განვითარების თვალსაზრისით. ამას ადასტურებს, მაგალითად, შავ მეტალურგიაში ზეგამძლე ფოლადის წარმოება, ფხვნილის მეტალურგიის განვითარება, კიბიაში - წამლების, კოსმეტიკური საშუალებების დამზადება და სხვა.

ბულია მსოფლიოში<sup>1</sup>. მაგალითად, 1989 წლის მონაცემებით, მისი საშუალო თეორი ხელფასი 300 ათას იენას ანუ 2.3 ათას დოლარს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე ერთობლივი ეროვნული პროდუქტი - 20 ათას დოლარს (ამ მხრივ მსოფლიოში მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია) [7, გვ. 5].

სხვადასხვა ქვეყნის მომსახურების მოხმარების სტრუქტურების ერთმანეთთან შედარება სირთულეებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ყოველ ქვეყანას მოთხოვნისა და მიწოდების თავისი სპეციფიკა აქვს, მაგრამ განსხვავება ეკონომიკის დონეებში არ გამოირჩევა პროგრესული ტენდენციების გამოვლენას მომსახურების სფეროს განვითარებაში. მაგალითად, ინგლისში საშუალოდ ყოველწლიურად თითოეული ოჯახი დასვენებისათვის ხარჯავს თავისი ბიუჯეტის 10%-ს, ანალოგიური კანონზომიერებაა დამახასიათებელი ავსტრიის, კანადის, ნორვეგიის, საფრანგეთისა და შვეიცარიისათვის [10, გვ. 21].

მომსახურების მწარმოებელ სპეციალიზებულ კომპანიებზე მოთხოვნის სწრაფმა ზრდამ და მომსახურების ბიზნესის განვითარების საიმედო პერსპექტივამ დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ამაღლების საფუძველზე მატერიალური წარმოებიდან გამოთავისუფლებული სახსრების მომსახურების სფეროში დაბანდვას. პარალელურად ამ პროცესს თან მოჰყვა შრომითი რესურსების სწრაფი მიზიდვა აღნიშნულ სფეროში. მაგალითად 1975-1988 წლებში იაპონიის მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობა გაიზარდა 26,7%-ით, მაშინ როდესაც მრეწველობაში - მხოლოდ 7,2%-ით [1, გვ. 143].

მომსახურების სფეროში მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსების სწრაფმა კონცენტრაციამ გამოიწვია ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში მისი ხვედრითი წილის გადიდება, ხოლო მრეწველობის - შემცირება. ამ თანაფარდობის ცვლილებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 2.

ცივილიზებულ ქვეყნებში ეკონომიკის სერვიზაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ მომსახურების სფეროს განვითარების რაოდენობრივი მაჩვენებლებით. იგი მოიცავს

ცხრილი 2

მრეწველობისა და მომსახურების სფეროს თანაფარდობის ცვლილებაში ეროვნულ პროდუქტში მსოფლიოს ხუთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში (აშშ-ში, საფრანგეთში, იაპონიაში, ინგლისში, გერმ-ში) პროცენტებით [8, გვ. 5]

ეკონომიკის სექტორი	1967 წ.	1987 წ.
მრეწველობა	30	25
მომსახურების სფერო	56	63

ისეთ პროცესებს, რომლებიც მდმდინარეობენ ქვეყნის ყველა დარგის შიგნით (მაგალითად, ინფორმატიზაცია). ეკონომიკაში არამატერიალური რესურსების

1 მისი ხელფასი 17 პროცენტით აღემატება ამერიკელი მუშის ხელფასს.

(საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის, სამუშაო ძალის პროფესიულ-საკვალიფიკაციო დონის, წარმოებითი და სამმართველო გამოცდილების, მუშაკთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვ.) როლის ზრდის საერთო პროცესმა, მათმა გადაქცევამ საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ მთავარ რესურსად განვითარებულ ქვეყნებში მიიღო სოფტიზაციის სახელწოდება<sup>1</sup>. იგი ვლინდება მიმდინარე წარმოებით დანახარგებში არამატერიალური რესურსების ხვედრითი წილის ზრდაში, კაპიტალდამანდებათა სტრუქტურაში, მეცნიერულ კვლევასა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (მქსს-ნიოკრ) დანახარგების ამალღებაში და სხვ. მაგალითად 1970-1980 წლებში, იაპონიის ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში იმ დარგების ხვედრითი წილი, რომელთა არამატერიალურ რესურსებზე მოდიოდა მიმდინარე წარმოებითი დანახარგების 40%-ზე მეტი, გაიზარდა 26.5-დან 45.6%-მდე [1, გვ. 144] ხოლო 1980-1990 წლებში მქსს-ზე დანახარგები - სამჭერ უფრო მეტად და 27.8 მლრდ დოლარის ნაცვლად შეადგინა 80 მლრდ დოლარი. აღნიშნულ პერიოდში აშშ-ში მქსს-ზე დანახარგები გაიზარდა ორჯერ უფრო მეტად და მიაღწია 140 მლრდ დოლარს. 80-იანი წლების ბოლოს იაპონიის, აშშ-სა და გერმანიის ასიგნება მქსს-ზე ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 2.8%-ს შეადგენდა, ხოლო ინგლისისა და საფრანგეთის 2.4%-ს [6, გვ. 122]. ისეთ ახალინდუსტრიულ ქვეყანაში კი, როგორც კორეა, 1970-1983 წლებში მქსს-ზე გამოყოფილი ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ხვედრითი წილი გაიზარდა 0.4-დან 2%-მდე 2001 წლისათვის კი დასახულია მისი 6%-მდე გადიდება [11, გვ. 53]. შემთხვევითი არაა, რომ სამხრეთ კორეა, მისი ეკონომიკური ზრდის დინამიზმიდან გამომდინარე, მომავალ ათწლეულში შეიძლება შევიდეს განვითარებული ქვეყნების რიცხვში.

მომსახურების სფეროს განვითარებასა და ეკონომიკის სოფტიზაციის ამალღებას განაპირობებენ ერთი და იგივე ფაქტორები, ვინაიდან ეს პროცესები მიმდინარეობს ერთმანეთის პარალელურად, ურთიერთკავშირში და გამოხატავს ერთი რიგის მოვლენებს - ეროვნულ ეკონომიკაში მომსახურების სფეროსა და არამატერიალური რესურსების როლის ამალღებას.

უკანასკნელ პერიოდში ცივილიზებული ქვეყნების მომსახურების სფეროს განვითარება ხასიათდება მრავალი თავისებურებით, რომლებმაც მიიღეს ტენდენციის ხასიათი. აქედან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია პროგრესული ცვლილებები მომსახურების სფეროს დარგობრივ სტრუქტურაში. მისი ტრადიციული დარგები (ვაჭრობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, სახელმწიფო მმართველობა<sup>2</sup> და სხვა) თანდათანობით ადგილს უთმობენ ახალ დარგებს. ამასთან დაკავშირებით მოწინავე პოზიციებს იკავებს საქმიანი მომსახურება, საფინანსო მუშაველობა, სადაზღვევო მომსახურება, დასვენების ორგანიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება, საოჯახო მეურნეობების მომსახურება და სხვა. მომსახურების სფეროს სტრუქტურაში იზრდება მათი ხვედრითი წილი, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი დარგებისა ეცემა. ეს არც არის გასაკვირი. გამოშვებული პროდუქტის ხარისხობრივი მაჩვენებელი

1 სოფტიზაცია წარმოდგება ინგლისური სიტყვისაგან soft - რბილი, ამ შემთხვევაში ნიშნავს არამატერიალურს.

2 სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მომსახურების ზრდის ტემპების შეფარდებითი დაცემა დაკავშირებულია ეკონომიკაში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის მასშტაბების შემცირების საერთო პროცესთან და ამის გამო, სახელმწიფო აპარატის შეკვეცასთან.

ნებლები გადიდება, წარმოების რესურსტევადაობის შემცირება, მისი ინფორმაციული უზრუნველყოფა, სამუშაო ძალის სათანადო მომზადება და სხვ. განაპირობებენ საქმიან მომსახურებაზე მოთხოვნის ამალღებას, ხოლო საწარმოთა (აგრეთვე მოსახლეობის) ფინანსური შესაძლებლობების ზრდა - კრედიტის, ფასიან ქალღლღებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და სადაზღვევა მომსახურების ზვედრითი წილის ამალღებას. დასვენების ორგანიზაციასთან დაკავშირებული მომსახურების ზვედრითი წილის გადიღებას ძირითაღად განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამალღება. მოხმარების სტრუქტურაში ცხოვრების ხარისხობრივი მიჩვენებლების ამალღებასთან ერთაღ ფართო მასშტაბებს იღენს საოჯახო მეურნეობების მომსახურება (საცხოვრებელი ბინების დალაგება, ბავშვების მოვლა, საქონლის ყიდვა სახლში მიტანით, ინტერიერების გაფორმება, შენობის, ავეჯის გადაკეთება და ა. შ). მნიშვნელოვნაღ იზრღება იმ დაწესებუღებათა ქსელი, რომელიღ მოსახლეობას უწევს კონსულტაციებს საოჯახო მეურნეობის წარმართვის საკითხებზე.

მომსახურების სფეროს განვითარების აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს რიგი სტატისტიკური მონაცემებისა. მაგალითაღ 1975-1987 წლებში იაპონიის მომსახურების სფეროს სტრუქტურაში საქმიანი მომსახურების წარმოების მოცუღობა გაიზარდა 2.46-ჯერ, მაშინ როღდესაც ვაჭრობისა მხოლოღ 1.60-ჯერ, ტრანსპორტის 1.45-ჯერ, სახელმწიფო-აღმინისტრაციული დასწესებუღებების მომსახურება 1.51-ჯერ და სხვ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იაპონური სტატისტიკის მონაცემები, რომლებიღ ასახავენ მომსახურების სფეროს, ერთობლივი შინაგანი პროდუქტის დაზგობრივი სტრუქტურის დინამიკას 80-იან წლებში და მისი ევოლუციის პროგნოზს 1993 წლაამღე (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3.

იაპონიის მომსახურების სფეროს ერთობლივი შინაგანი პროდუქტის დაზგობრივი სტრუქტურის დინამიკა 1980-1987 წლებში და პროგნოზი 1993 წლამღე (პროცენტობით) 1, 83. 145,146

მომსახურების სფეროს დარგები	1980 წ.	1986 წ.	1993 წ.
ვაჭრობა	28.9	23.0	19.9
ტრანსპორტი და კავშირგაბმუღობა	11.9	11.6	10.7
კრედიტი, დაზღვევა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები	14.7	15.5	15.7
საქმიანი მომსახურების დარგები	6.5	9.4	13.1
განათღება	7.8	7.7	7.1
ჯანმრთეღობის დაცვა	6.2	6.2	5.9
დასვენების ორგანიზაციის დარგები	7.9	8.8	9.7
საოჯახო სამუშაოთა შემსრუღებელი დარგები	2.7	3.2	3.3
სხვა დარგები	13.4	14.6	14.3

ანალოგიური კანონზომიერებაა სხვა განვითარებული ქვეყნების მომსახურების სფეროს დარგობრივ სტრუქტურაში. რაც შეეხება დასაქმების დარგობრივ სტრუქტურას, ეს მაჩვენებელიც ადასტურებს აღნიშნულ თავისებურებას. ამის საილუსტრაციოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 4.

ამრიგად აშშ-ში სწრაფი ტემპით ვითარდება ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, საფინანსო, სადაზღვევო და სხვა სამეურნეო მომსახურება, ხოლო გაცილებით ნელი ტემპით - მომსახურების ისეთი ტრადიციული დარგები, როგორცაა: კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტი, კომუნიკაცია.

ცხრილი 4.

აშშ-ის მომსახურების სფეროში დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა (პროცენტობით) 2 ბმ. 70

	1948	1969	1983
მატერიალური წარმოების სფერო (სოფლის მეურნეობა, სასაარგებლო წიაღისეულის მოპოვება, მშენებლობა, მრეწველობა)	43.4	35.1	28.0
მომსახურების სფერო	56.6	64.9	72.0
აქედან <sup>1</sup>			
ტრანსპორტი, კომუნიკაცია	7.5	5.1	4.6
კომუნალური მომსახურება	4.8	3.0	1.9
საბითუმო ვაჭრობა	5.0	5.0	5.9
საჯალო ვაჭრობა	12.6	13.0	14.6
ჯანმრთელობის დაცვა, განათლება	5.6	10.3	14.0
ფინანსები, დაზღვევა და სხვა სამეურნეო მომსახურება	6.1	10.0	14.3
პირადი მომსახურება <sup>2</sup>	4.4	3.7	4.1
მმართველობა	11.2	14.8	12.6

1 მოცემული დარგების ხვედრითი წილის ჯამი არ უტოლდება 100 პროცენტს, რასაც ჩვენი აზრით, ალბათ განაპირობებს ის, რომ ამ სტრუქტურაში არ არის მოხსენებული მომსახურების სფეროს ყველა დარგი. მოტანილი წყაროს ავტორის აზრით ეს დაკავშირებულია სტატისტიკურ უზუსტობასთან.

2 აშშ-ში მიღებული პრაქტიკის თანახმად, პირად მომსახურებაში შედის: სასტუმროების, პირადი მომსახურების ავტოსერვისის, კინოთეატრების, საპარკმახეროების, ქიშქმენდების, ფოტოგრაფიების, დამკრძალავი ბიუროების, კრემატორიუმების, აბანოების და ა. შ. მომსახურება.



მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მომსახურების სფეროს განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი დარგების შინაგანი სტრუქტურის დივერსიფიკაცია, რაზეც მეტყველებს ეკონომიკურ საქმიანობაში მომსახურების ისეთი სახეების ფართოდ გამოყენება, როგორცაა ინჟინირინგი, ლიზინგი, ფაქტორინგი, ფორფეიტინგი, ფრანჩაიზინგი და სხვა. გარდა ამისა, მომსახურების ბიზნესში სულ უფრო იკიდებს ფეხს საინფორმაციო მომსახურება და განსაკუთრებით მისი მწარმოებელი ისეთი ახალი სახეები კავშირგაბმულობისა, როგორცაა: ფაქსიმილური, ვიდეოტექსტური, ტელეტექსტური, ტელეკონფერენციული კავშირგაბმულობა და ა. შ.

ფაქსიმილური კავშირგაბმულობა უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის გრაფიკული (საქმიანი დოკუმენტაციის, რუკების, ნახაზების, ნახატების და ა. შ.) და წერილობითი ინფორმაციის გადაცემას გაცილებით ოპერატიულად და იაფად, ვიდრე კავშირგაბმულობის ნებისმიერი სხვა სახე. ამასთან, შესაბამისი აპარატურის სიმარტივე პრაქტიკულად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობებს. ფაქსიმილური კავშირგაბმულობა სულ უფრო ავიწროებს ბაზარზე ჩვეულებრივ საფოსტო და სატელეგრაფო მომსახურებას: წერილობითი ინფორმაციის გადაცემა ფაქსით გაცილებით უფრო სწრაფი, იაფი და მოხერხებულაა, ვიდრე ტრადიციული საფოსტო ან სატელეგრაფო მომსახურება, ამიტომ იგი მათთან შედარებით უფრო მეტად იზიდავს მომხმარებლებს. აღსანიშნავია, რომ 80-იანი წლების ბოლოს შეიქმნა ფაქსიმილური კავშირგაბმულობის საერთაშორისო ქსელი, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს წამყვან განვითარებულ ქვეყნებს.

ვიდეოტექსტი უზრუნველყოფს ვიდეოინფორმაციის გადაცემას სატელეფონო კავშირის არხებით და პერსონალური კომპიუტერების დახმარებით. მისი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მომხმარებელს შეუძლია მისთვის საჭირო ინფორმაცია იპოვოს ეგმ-თან დიალოგში. ვიდეოტექსტის სისტემა გამოირჩევა ოპერაციის ჩატარების სიმარტივით, სისწრაფით, შედარებით ნაკლები დანახარჯებითა და გაცემულ ინფორმაციის ფართო დიაპაზონით.

ტელეტექსტი უგამტარო კავშირგაბმულობის სახესხვაობაა, სადაც სიგნალი გადაიცემა ტელეხედვის მიერ გამოყენებულ დიაპაზონებს შორის შუალედში. მომსახურების ეს სახე საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მისთვის მოხერხებულ დროში მიიღოს ინფორმაცია ფერადი გამოსახულების სახით.

ტელეკონფერენციის სისტემა სპეციალიზებულ სტუდიებში დაყენებული აპარატურის მეშვეობით ამყარებს ვიდეოკავშირს ტერიტორიულად ერთმანეთისაგან დაცილებული კონფერენციის, თათბირის და ა. შ. მონაწილეებს შორის. მომსახურების ამ ფორმას, მსხვილ კომპანიებთან ერთად, მიმართავენ სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებები.

მომსახურების დივერსიფიკაციის მაჩვენებელია, აგრეთვე, მისი ახალი სახეების წარმოქმნა გარემოს დაცვის სფეროში, საზოგადოებრივ კვებაში ახალი ტიპის საწარმოთა (საოჯახო რესტორნების, სპეციალიზებული დელიკატური კაფეების, ჩვილ ბავშვთა რესტორნების, ისეთი კაფეების, სადაც მომხმარებელს თვით შეუძლია კერძების მომზადება და ა. შ.) მომსახურების სწრაფი განვითარება და სხვ.

80-იანი წლებიდან ცივილიზებული ქვეყნების მომსახურების სფეროს განვითარებაში გამოიკვეთა უპირატესად რესურსდამოზოგველი მიმართულება. მისი გადასვლა ზრდის უპირატესად რესურსდამოზოგველ ტიპზე, მატერიალური წარმოებისაგან განსხვავებით, გამოიხატება იმით, რომ ამ შემთხვევაში ცოცხალი შრომის შეცვლა განივთვლებულით მიმდინარეობს, შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით, ფონდშიგარაღების უფრო მაღალი ტემპის პირობებში. მომსახურების

სფეროში შრომატევადობის შემცირების ასეთი ტიპი ძირითადი კაპიტალის შედარებით დაბალი ტექნიკური დონის შედეგია. შრომის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდის პროცესი აქ უპირატესად ეყრდნობა ტექნიკის გამოყენების მასშტაბების გადიდებას. გაცილებით ნაკლებ როლს ასრულებს წარმოებითი აპარატის მოდერნიზაცია, მომსახურების პროცესის ტექნიკური შეიარაღება. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მომსახურების სფეროში კაპიტალდაბანდების ხვედრითი წილი წარმოებითი აპარატის განახლებაში შედარებით დაბალია, ხოლო გაფართოებაში მაღალი, ვიდრე გადამუშავებით მრეწველობაში. ამის შედეგად მატერიალური წარმოებისაგან განსხვავებით, სადაც დაგროვების პროცესმა გამოიწვია როგორც ცოცხალი, ასევე განვითარებული შრომის ეკონომია, მომსახურების სფეროში დანახარჯების ეკონომია ძვირადღირებულ რესურსებზე - სამუშაო ძალასა და ენერჯიაზე - მიღწეულ იქნა წარმოების ფონდტევადობის ზრდის პირობებში.

თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების მომსახურების სფეროსათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ე. წ. ექსტერნალიზაცია. მისი არსი მდგომარეობს ფირმის მიერ საკუთარი საქირთებისათვის წარმოებული მომსახურების სხვა კომპანიებზე მიყიდვაში. რაც უფრო მსხვილია კომპანია, მით უფრო ნაკლებია სერვისული ოპერაციების ექსტერნალიზაცია, თუმცა არსებობს აბსოლუტურად საქონლური მომსახურება, რომელსაც შეიძენს ნებისმიერი ფირმა, მიუხედავად მისი სიდიდისა. ეს არის ოურიდიული კონსულტაციები, უშიშროებასთან დაკავშირებული მომსახურება, კომპანიის მყარი საბაზრო მდგომარეობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და სხვა. ექსტერნალიზაცია ჩვეულებრივ ხორციელდება ფირმის შიგნით ცალკეული ქვეგანყოფილებების ან ფილიალების შექმნის გზით. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ფილიალი აღწევს სოლიდურ საბაზრო წარმატებას, თვით "შეუძლია გახდეს დამოუკიდებელი ფირმა. მაგალითად, ინგლისის ექვსი წამყვანი ფირმა, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან კომპიუტერული მომსახურების გაწევაზე, ადრე წარმოადგენდნენ ინგლისის ტრანსპორტული კორპორაციების ფილიალებს.

თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების მომსახურების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მკვეთრად განსხვავდება იმისაგან, რაც იყო 20 წლის, და მით უმეტეს 40-50 წლის წინათ. მისი განვითარება ეყრდნობა მომსახურების ყველა დარგში მიკროელექტრონიკის, ეგმ-ისა და კავშირგაბმულობის ახალი საშუალებების (ფაქსიმილური, ვიდეოტექსტური, ტელეტექსტური და ა. შ.) ფართოდ გამოყენებას, რომლებიც არა მხოლოდ ზრდიან მომსახურების სფეროს წარმოებით შესაძლებლობებს, არამედ იწვევენ მის ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე - წარმოების ინფორმაციულ ტექნოლოგიაზე გადასვლას. პერსონალური კომპიუტერების, მინი და მიკრო ეგმ-ის ბაზაზე შესაძლებელი შეიქნა მომსახურების პროცესების ფართო ავტომატიზაცია. ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ვაჭრობაში, ტრანსპორტში, საქმიანი მომსახურებისა და საფინანსო-საკრედიტო სფეროში, კავშირგაბმულობაში და ა. შ. მაგალითად, ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში თანამედროვე გამომთვლელი და საინფორმაციო ტექნიკის წარმოების საერთო მოცულობიდან ჯანმრთელობის დაცვაში გამოიყენება 12% და თითქმის 50% საფინანსო-საკრედიტო და საქმიანი მომსახურების სფეროებში. ამასთან, უნივერსალურ ეგმ-თან შედარებით, აღნიშნული ტექნიკის სიიაფემ ფართო გზა გაუხსნა წვრილ და საშუალო მეწარმეობის ინფორმატიზაციას.

განათლების სისტემაში არსებითი ცვლილებებია სწავლების ფორმებსა და მეთოდებში. სულ უფრო ფართოდ ვრცელდება (როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სკოლებში) კომპიუტერული სწავლებისა და მასწავლებლის გარეშე ათვ-

ისებული მასალის კონტროლის სისტემები, ტელეკომინარები, ტელეკონფერენციები და სხვ. ამჟამად ხშირ შემთხვევაში გამოცდებს აბარებენ გულცივ ეგმ-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ფართოდ გამოიყენება ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა და უახლესი სამედიცინო ტექნოლოგია (კომპიუტერული ტომოგრაფიები, დიაგნოსტიკის ავტომატიზებული სისტემები, სამედიცინო აპარატები გულის, ღვიძლის, თირკმლების-ტრანსპლანტაციისა და მისი შემდგომი მკურნალობისათვის და სხვ.). პაციენტთა ჩვეულებრივ სამედიცინო ბარათებს სულ უფრო ცვლის ელექტრონული, რომლის მეხსიერებაში აღრიცხულია პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ როგორც ძველი, ისე ახალი მონაცემები. კავშირგაბმულობის ახალი სისტემების ბაზაზე შესაძლებელი ხდება კონსულტაციების მიღება მსხვილი საკვლევი ცენტრების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან.

ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა ფართოდ ინერგება სასასტუმრო მეურნეობის მართვაში. მისი დახმარებით შესაძლებელია ნომრების აღრიცხვა, ანგარიშების გაფორმება, აგრეთვე სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლი; სპეციალური სისტემების მეშვეობით არეგულირებენ ნომრებში ჰაერის ტემპერატურას, მდგმურების არყოფნისას აჭრობენ შუქს, გამორთავენ ელექტროხელსაწყოებს და ა. შ.

ვაჭრობაში ეფექტიანობის ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სარეალიზაციო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის დამუშავების სისტემის გამოყენება ეგმ-ის - POS(Point of sales) საშუალებით. ამ სისტემის არსი მდგომარეობს შემდეგში: ყოველ საღაროში დადგმულია სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად ითვლის გაყიდული საქონლის კოდს და ინფორმაციას გადასცემს მაღაზიის ეგმ-ს, ეს უკანასკნელი კი სავაჭრო კომპანიის ცენტრალურ ეგმ-ს, სადაც მიღებული ინფორმაცია გროვდება და გადამუშავდება. ეგმ-ის მეხსიერებაში ინახება და ოპერატიულად განახლდება ცნობები სასაქონლო მარაგის, საქონლის ცალკეული სახეებისა და ჯგუფების შესახებ. POS-ის გამოყენება ზრდის სავაჭრო წერტილების მართვის ეფექტიანობას, ამალღებს მოსახლეობის მოთხოვნის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ეფექტიანობას, ამოკლებს კლიენტთა მომსახურების დროს და ა. შ. საინფორმაციო მომსახურების განვითარების ბაზაზე იზრდება უმაღლესი ვაჭრობის მასშტაბები. იგი გულისხმობს ტელეფონით, სავაჭრო ფირმის ეგმ-თან შეერთებული საოჯახო კომპიუტერის დახმარებით სავაჭრო ოპერაციების განორციელებას (სისტემა ყიდვა სახლიდან გამოუსვლელად - "home shopping"). ამჟამად ფართოდ ინერგება თანამგზავრული კავშირგაბმულობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ქვეყნების (მაგალითად აშშ-ისა და იაპონიის) მომხმარებლებს.

ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის დანერგვა ტრანსპორტში უზრუნველყოფს მისი მუშაობის ოპტიმალური რეჟიმის შერჩევას, რაც განაპირობებს არა მხოლოდ გადაზიდვების ენერგოტეკვადობის, არამედ პერსონალის რიცხოვნობის შემცირებასაც. სატრანსპორტო საშუალებების მართვის სისტემის ავტომატიზაცია და კავშირგაბმულობის ახალი სახეების ფართოდ გამოყენება ქმნის მოძრაობის უსაფრთხოების პირობებს (გემების, თვითმფრინავებისა და მატარებლების შეჭახების თავიდან აცილების ავტომატური სისტემები, მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ავტომატური კონტროლის სისტემები, საპირო გადაზიდვების ავტომატური კონტროლის სისტემები და სხვ.). საავტომობილო ტრანსპორტში ფართოდ ინერგება დიზელ-ელექტრონული ძრავები, რომლებიც უზრუნველყოფენ სათბობის მნიშვნელოვან ეკონომიას. საზღვაო ნაოსნობაში თანდათანობით ფართოვდება ეგმ-ით მართული პლასტიკური იალქნები, რაც საშუალოდ 30-40%-ით ამცირებს სათბობის მოხმარებას და სხვ.

საინფორმაციო ტექნიკის გამოყენების საფუძველზე დიდი წარმატებები მიღწეული კრედიტისა და ფასიანი ქაღალდების ოპერაციების სფეროში. ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკისა და კავშირგაბმულობის ახალი საშუალებების გამოყენების ბაზაზე ფართოდ გავრცელდა ელექტრონული ფული. ცივილიზებულ ქვეყნებში კომპიუტერების მეშვეობით ხორციელდება მრავალი საგადასახადო და საანგარიშგებო ოპერაციის წარმოება, საკრედიტო გარიგების, ფულადი გადასახადებისა და ანგარიშსწორების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის გადამუშავება და გაცემა. ამის შედეგად დათვლილ წამებში შეიძლება ზუსტი ინფორმაციის მიღება იმ პირის საბანკო ანგარიშის მდგომარეობის შესახებ, რომელმაც წარადგინა ჩეკი ან ელექტრონული საკრედიტო ბარათი ამა თუ იმ სახის მომსახურების მიღებისათვის. ელექტრონული ფულის სისტემას ავსებს საბანკო ავტომატები, რომლებიც განლაგებულნი არიან ქალაქის სხვადასხვა ადგილებში - მიწისქვეშა გადასასვლელებში, მეტროს სადგურებთან და ა. შ. მათი საშუალებით საბანკო ანგარიშის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ დროს, დამოუკიდებლად, საბანკო პერსონალის მონაწილეობის გარეშე, ჩაერთოს საბანკო კომპიუტერში და განახორციელოს ისეთი ოპერაციები, როგორცაა: ფულის შეტანა, გამოტანა და გადაგზავნა ერთი ანგარიშიდან მეორეზე, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში კრედიტის მიღება და სხვ. ფასიანი ქაღალდებისა და სავალუტო ოპერაციების მასშტაბების ზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო საინფორმაციო სისტემები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ სხვადასხვა ქვეყნების უმსხვილეს საფინანსო და სავალუტო ბირჟებს.

პროგრესულმა ძვრებმა ეკონომიკაში, მატერიალურ წარმოებასთან ერთად, მომსახურების სფეროს კომპიუტერულმა ავტომატიზაციამ გამოიწვია ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობისა და შესაბამისად, მასში დასაქმებულთა რიცხოვნობის გადიდება. მაგალითად, აშშ-ის ეკონომიკაში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი ჩაზმულია ინფორმაციულ მომსახურებაში, მათ უწოდებენ ე. წ. თეთრ საყელოებს. წარმოებაში რობოტების გამოჩენამ საწარმოო პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი ინფორმაციის დამუშავებულ მომსახურეთა კატეგორიად გარდაქმნა. ინფორმაციული სერვისი მომსახურების სექტორის ყველაზე დინამიკური ნაწილი გახდა.

დასავლეთში თეთრ საყელოებს მიაკუთვნებენ კლერკებს (მდივნებს, აღმრიცხველებს, საქმისმწარმოებლებს), გამყიდველებს, ტექნიკოსებს, ინჟინრებს, იურიისტებს, ექიმებს, მმართველებსა და აღმინისტრატორებს. აშშ-ის შრომის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, 1982 წელს თეთრი საყელოები ეკონომიკაში შეადგენენ სამუშაო ძალის 53%-ს. ვარაუდობენ, რომ საუკუნის ბოლოს მათი ხვედრითი წილი მიაღწევს 90%-ს [2, გვ. 92].

თეთრი საყელოები როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით, მატერიალურ წარმოებასთან შედარებით, ჭარბობენ მომსახურების სფეროში. ამასთან, მათი ხვედრითი წილი სწრაფი ტემპით იზრდება მაღალტექნოლოგიურ დარგებში - ელექტრონიკაში, ჩქაროსნულ ტრანსპორტში, ახალი მასალების, პროფესიული და სამეცნიერო მოწყობილობების წარმოებაში და ა. შ. ამ დარგებისათვის დამახასიათებელია პროდუქციის განახლების ჩქარი ტემპი, რაც სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დანახარჯების გაზრდასთან ერთად, სამეცნიერო-ტექნიკურ მუშაკთა დიდ რაოდენობას მოითხოვს. ამიტომ, ბუნებრივია, მაღალია ამ სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილი. მაგალითად, აშშ-ის მაღალტექნოლოგიურ დარგებში 1980 წელს დასაქმებული იყო ყველა სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკურ მუშაკთა 25% [2, გვ. 116].

წლების განმავლობაში საინფორმაციო პროდუქციის გამოშვება, განაწილება ჩაკეტილი იყო ცალკეული, უმეტესად მსხვილი ფირმების შიგნით. ძირითადად ეს იყო არასაქონლური ინფორმაციული ეკონომიკა და ბაზარი მას თითქმის არ შეიგრძნობდა. კორპორაციების მენეჯერები არ აქცევდნენ ყურადღებას საინფორმაციო მომსახურების ფასებს, ვინაიდან იგი ძირითადად ფირმის შიდასაჭიროებას ხმარდებოდა. ამჟამად სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ძალზე გაიზარდა საინფორმაციო პროდუქციის საქონლურობა, ჩამოყალიბდა დიდი მოცულობის დამოუკიდებელი ბაზრები, ხოლო ფირმებმა დაიწყეს ფართომასშტაბური ექსტერნალიზაცია. ისინი ქმნიან სპეციალურ ქვეგანყოფილებებს, ფილიალებს, ერთობლივ საწარმოებს და ა. შ., და ერთი მხრივ, გამოდიან საინფორმაციო მომსახურების, როგორც მწარმოებლები და გამყიდველები, მეორე მხრივ კი, როგორც მისი მყიდველები და მომხმარებლები. ასე მაგალითად, ინგლისური ფირმა მარკს ენდ სპენსერი, რომელიც სპეციალიზებულია საკრედიტო ბარათების გავრცელებაზე და მომსახურებას უწევს 1.3 მლნ კლიენტს, დაკავებულია მათგან მიღებული ინფორმაციის დამუშავებაზე; მისგან მიღებულ შედეგებს აქცევს საქონლად და ყიდის მომგებიანად. [12, გვ. 12]

თანამედროვე საინფორმაციო სერვისის მნიშვნელოვანი თავისებურება კოლექტიური სარგებლობის კომპლექტურ-საკომუნიკაციო ქსელის შექმნაა, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც ეკონომიკის ცალკეული დარგების შიგნით, ასევე მათ შორის. მათ ექსპლოატაციას უწევენ ტელეკომუნიკაციური კომპანიები, რომლებიც ერთობლივადაა შექმნილი ინფორმაციის მსხვილ მომხმარებლებთან.

ტექნიკურმა სიახლეებმა საინფორმაციო მომსახურებაზე მოთხოვნის ნახტომისებურმა ზრდამ, კერძო კორპორაციების სასარგებლოდ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ცვლილებებმა გამოიწვია ელექტრონული ინფორმაციის გიგანტური ბაზარი. იგი მოიცავს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ფლობენ ინფორმაციის ფართომასშტაბურ ბაზებს (საგაზეთო და საგამომცემლო კომპანიებს, მსხვილ სამრეწველო კორპორაციებს, ინსტიტუტებსა და პროფესიულ საზოგადოებებს, ტელეკომუნიკაციურ ფირმებს და სხვ.).

ელექტრონული ინფორმაციის ბაზარზე მონოპოლური მდგომარეობა უჭირავთ უდიდეს კორპორაციებს. მაგალითად, რეიტერი წარმოადგენს მსოფლიოში ინფორმაციის უმსხვილეს მიმწოდებელს, რომელიც ფლობს 118 ქვეყნის საკომუნიკაციო ქსელს. მისი გავლენის ქვეშაა ახალი ამბების სააგენტო, საინფორმაციო-ტექნოლოგიური მოწყობილობების მწარმოებელი სამი კომპანია და სხვ. სპეციალისტების აზრით, ამ სფეროში კონკურენციული ბაზრის შექმნის ბარიერია ინფორმაციის ძვირადღირებული ელექტრონული სისტემა.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში ცივილიზებული ქვეყნების მომსახურების სფეროს განვითარებაში გამოიკვეთა ახალი თავისებურება - მომსახურების წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკურ, პროგრესის უახლეს მიმართულებათა ფართოდ დანერგვა. წარმოებითი პროცესების კომპლექსურმა ავტომატიზაციამ, ენერჯის ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიის გამოყენებამ, მიკროელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის მიღწევათა ათვისებამ, ეგმ-ის ახალი თაობის ფართოდ დანერგვამ თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა მომსახურების სფეროს განვითარებაში და საერთოდ, მთელს მეურნეობაში. საწარმოო ძალების არნახულ-

მა პროგრესმა გამოიწვია კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია ახალ საზოგადოებაში. ამჟამად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა არ წარმოადგენს ინდუსტრიულს, ვინაიდან მასში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი თავმოყრილია მომსახურების სფეროში. იგი განვითარების შემდგომი, უფრო მაღალი ისტორიული ფაზაა, პოსტინდუსტრიალიზაციის ერაა<sup>1</sup>. ამჟამად ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკას ახასიათებენ, როგორც მომსახურება-ინტენსიურს და განასხვავებენ ეკონომიკური ზრდის წინა ეტაპებისაგან, როდესაც დომინირებული მდგომარეობა ეკავა ჭერ სოფლის მეურნეობას, ხოლო შემდეგ მრეწველობას. მაგალითად, 1920 წელს აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო მომუშავეთა 70% ხოლო 1980 წელს მხოლოდ 3% (შესაბამისად მრეწველობაში - 33% ხოლო მომსახურების სფეროში - 64%) [2, გვ. 7]. ამრიგად, წინა ინდუსტრიული საზოგადოება შეცვალა ინდუსტრიულმა, ხოლო ეს უკანასკნელი - პოსტინდუსტრიულმა<sup>2</sup>. მან განაპირობა არსებითი ცვლილებები საზოგადოების ცხოვრებაში. პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში დაიწყო მაღალი მასობრივი მოხმარების ხანა რაც გამოიხატა შემდეგში: ა) მკვეთრად გაიზარდა იმ უმაღლესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების მასობრივი მოხმარება, რომლებიც წინათ ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილისათვის; ბ) საგრძნობლად შემცირდა სიღარიბე; გ) მოსახლეობის 60%-მა ფუფუნების დონეს მიაღწია (წინათ იგი ხელმისაწვდომი იყო ერთეულუბისათვის). მასობრივ მოხმარებაზე გადასვლას მოჰყვა პროგრესული უკუშედევები, როგორც მატერიალური წარმოების, ისე მომსახურების სფეროს განვითარებაში. ეკონომიკის მესამეული სექტორი გახდა პოსტინდუსტრიალიზაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელი.

#### ლიტერატურა

1. Япония: Смена модели экономического роста. Отв. ред. Лебедева И. П. Кравцевич А. И. М. 1990.
2. Зубов Б. М. Как измеряется производительность труда в США. М. 1990.
3. Разумнова И. И. Мелкие фирмы в США: экономика и управление. М. 1989.
4. Ершов М. В. США в международной торговле услугами. "США: экономика, политика, идеология". 1988, 11.

1 ამასთან დაკავშირებით დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია დ. ბელის პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია

2 ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ო. ტოფლერი საზოგადოების ასეთ თვისებრივ გარდაქმნას სუპერინდუსტრიულ რეველუციას უწოდებს. მისი აზრით, საზოგადოებამ თავის განვითარებაში განვლო შემდეგი სტადიები: სასოფლო-სამეურნეო ცივილიზაცია (ეს იყო პირველი ტალღა, როდესაც მონადირეთა საზოგადოება შეცვალა აგარაუღმა საზოგადოებამ), ინდუსტრიალიზაციის ერა (აგარაუღლი საზოგადოების შეცვლა ინდუსტრიულით ნიშნავდა მეორე ტალღას) და დაიწყო ცივილიზაციის მესამე ტალღა - საზოგადოება შევიდა სუპერინდუსტრიულ ერაში, სადაც წამყვან როლს ასრულებს ეკონომიკის მესამეული სექტორი - მომსახურების სფერო და შთაბეჭდილებათა ინდუსტრია (კინო, თეატრი და ა. შ.) როგორც მომსახურების სპეციფიური ფორმა.

6. Портной М. *Экономика США сегодня*. "Экономист", 1992, 3.
7. Лебедева И. П. *Экономика современной Японии*. М. 1990.
8. Жильцов Е. Н. *Основы формирования хозяйственного механизма в сфере услуг*. М. 1991.
9. Лившиц А. Я. *Введение в рыночную экономику*. М. 1991.
10. Уколов В. Ф. Ситников Я. И. *Управление эффективностью услуг. Развитие общественного и частного предпринимательства*. М. 1991.
11. Федоровский А. *Экономика Южной Кореи на пороге 90-х годов*. "Мировая экономика и международные отношения", 1989, 12.
12. Хауеллс Дж. *Сфера услуг в Европе: размещение, экономические и технические тенденции*. Олдершот, 1988.

## Service Sector Development of the Economy is a Significant Characteristic of Postindustrial Development of Society

R. Asatiani

Tbilisi State University

**Summary.** Socio-economic processes in the last ten years have affected every sphere of public life, including the basic orientation of the economy.

On one hand there has been a constant increase in composite demand, and on the other hand, there have been progressive structural changes in the economy, primarily in the sectors producing new kinds of services. Service sector development of the economy involved the whole civilized world. Material production and service sector appeared to be in cause and effect relation. Services have become a growing ingredient in production and in personal consumption as well. Moreover, this unprecedented growth of services has created a qualitatively new stage in development of productive forces, causing transition of capitalism to a new historical phase - thus the foundation of postindustrial era was lead.

This work explains the regular process of diversification of service sector in a developed market economy on the basis of rich statistical data. It also considers characteristics of the development of the service sector of the economy and main factors determining it, and shows its role in postindustrial society.

## "Сервизация" экономики - важная черта постиндустриального развития общества

Р.Асатиани

Тбилисский Государственный  
Университет

Резюме. Сфера услуг основными экономическими показателями занимает доминирующее место в развитой рыночной системе. За последнее десятилетие сформировавшиеся процессы получили ярко выраженную ориентацию качественной перестройки общественной жизни. В особенности это выразилось, с одной стороны, в неуклонном росте совокупного спроса и с другой, в прогрессивных структурных изменениях экономики, ускоренном развитии преимущественно тех отраслей, которые производят новые виды услуг. "Сервизация" экономики охватила весь цивилизованный мир. Материальное производство оказалось со сферой услуг в причинно-следственной связи. Услуги стали растущим ингредиентом как производственного, так и личного потребления. Более того, невиданный прогресс сферы услуг создал качественно новый этап в развитии производительных сил, вызвал переход капитализма в более высокую историческую ступень - положил начало постиндустриальной эры.

В работе, на базе богатого статистического материала, объясняется закономерный процесс диверсификации сферы услуг в развитой рыночной системе и его определяющие основные факторы, освещены качественные характеристики "сервизации" экономики, показана роль сферы услуг в постиндустриальном развитии общества.



# Privatisation of Russian Industry

S. Fortescue

The University of New South Wales  
P.O.Box 1 Kensington NSW Australia 2033

Received: November 19, 1992

**Summary.** In this paper we examine privatisation in the Russian industrial sector. We will be concerned with what in the literature is described as "large" privatisation, i.e. enterprises large enough to require a sufficient complexity of management that there is likely to be a separation between ownership and management.[1, p.2] It is to be distinguished from "small" privatisation, i.e. of enterprises, often in the services sector, small enough that owner-managers are likely to be the rule.

The word "privatisation" will be used somewhat loosely, in that we will be in fact talking about two stages in a board process. Firstly, there is the freeing of enterprises from direct state planning and administrative control and the transformation of their ownership structures into a form that allows ownership to be potentially divisible and transferable, usually a joint stock form. This is what is called in the West "corporatisation" and in Russia "destatisation" (*razgosudarstvenenie*). Secondly, there is privatisation proper, the transfer of at least a controlling interest in the enterprise's assets to private hands.

The focus is on El'tsin's post-coup Russia, specifically under the shock therapy programme of Egor Gaidar. The first part of the paper describes the development of a Russian privatisation strategy before and within the shock therapy programme. It will be divided into sections on the "ideologies" of privatisation, legislation, the economic and infrastructural context, and the practice. The second part of the paper focuses on some major specific problems, in the context of some predictions and prescriptions for the future.

## FROM PERESTROIKA TO SHOCK THERAPY

The ideologies of privatisation. With the collapse of communism in the Soviet Union and Eastern Europe, property rights in general and privatisation in particular moved onto the transition agenda remarkably quickly. Throughout the communist period "economic reform" had meant almost exclusively decentralisation of economic control from central and middle level planning and administrative agencies to enterprise management and the introduction of "economic levers", whether real or of the "shadow" variety. Not surprisingly, given the continued ideological commitment to Marxist-Leninist socialism, property relations did not form part of the reform debate.[2, ch. 3]

The collapse of that ideological commitment brought property relations very rapidly into the debate. Probably entirely coincidentally the collapse of socialism came at a time when the privatisation debate was raging in

the West. The transfer of state property into the private sector, as part of the general "economic rationalist" paradigm, was dominant in Western policy-making circles (if not necessarily so outside those circles) [3, pp. 162-168], while the long-standing concern of academics and management specialists with the relative importance of ownership versus management skill and competition in producing an efficient capitalism bubbled on. [4, p. 148]

The most committed Russian privatisers accept the Western "economic rationalist" paradigm. Economic growth is best brought about by minimally fettered private market. The ownership of industrial assets must be included in that market, meaning that state ownership, or any other form of ownership that gives privileges to specific sections of society and therefore impedes the free operation of the market in the ownership of enterprises, cannot be optimal. An efficient market therefore will be most rapidly attained in Russia through the sale of industrial assets, preferably as quickly as possible, to anyone who wants to buy them at the highest possible price. This will not only provide useful cash receipts for the government, but, more importantly, will leave enterprises in the hands of dedicated, committed owners with the greatest possible incentive to exercise their ownership rights efficiently. It will also provide the structures to allow those owners after the initial privatisation to shift ownership from enterprises that prove less profitable to those with better prospects. Russian economists and policy makers who accept this argument have played a major role in *perestroika* and post-*perestroika* economic reform. This has been particularly the case since the acceptance of shock therapy by El'tsin.

However shock therapy and the approach to privatisation that goes with it are as controversial in Russia as their equivalent "dry" policies in the West. Many fear the devastating consequences for employment that such a privatisation would almost certainly have. It also appears that in Russia a residual commitment to socialist principles, or maybe to a traditional Russian collectivist spirit, has led to particularly strong support for alternative approaches to privatisation. Above all, worker ownership has been seized upon as perhaps the last hope of the socialists. The arguments in favour are clear: it is only fair that those who produce an enterprise's output and profits should have full control over and access to those profits. Soviet experience has demonstrated conclusively that this requires not state ownership but more localised workforce ownership. Such a form of ownership will be economically efficient, since workers who own productive assets and the returns from them have a strong incentive to make the best use of them.

Another approach to privatisation has also taken strong hold in Russia. Many reject the rigours of the "sell to the highest bidder" approach, but at the same time believe that workforce ownership is unjust to those who happen to work in sectors of the economy that are not susceptible to profitable privatisation (and to those who do not work at all). These people argue for an approach to privatisation which will give a share in the nation's industrial assets to all citizens. The usual approach is to issue

to all citizens, free or for a nominal sum, "vouchers" or "investment money" which can be used to buy shares in enterprises, either directly or through investment funds. This form of privatisation is seen, in a Thatcherite way, as producing a large shareholding public which will therefore be committed to social, political and economic stability. It might also overcome the potential problem of lack of demand for privatised assets in the "sell to the highest bidder" approach.

Two attitudinal factors need finally to be mentioned in this section. Firstly, there is the very strong popular opposition throughout the post-communist world to any suggestion that the old elites should benefit from reforms. In the economic sector this means strong opposition to *nomenklatura* capitalism, the phenomenon of members of the old political and managerial elites taking advantage of privatisation to seize legal ownership of assets and to arrogate to themselves even greater returns than they did under the old system. This is a particularly sensitive issue, given that one of the main driving forces in the anti-communist movement, including El'tsin's rise to fame, was opposition to elite privilege.

The second attitudinal factor is the fear and suspicion of foreign investment. Most nations are sensitive to foreign ownership of their assets. Russia, particularly but not only in its Soviet period, is considered to be particularly insular in this regard. There are now, as throughout Russian history, those who see foreign investment, financial and otherwise, as the country's main hope of salvation. But the failure of the August 1991 coup, with its very strong anti-foreigner overtones, should not lull us into believing that the issue is no longer controversial. That it is still so is evident not just in the debate over direct regulation of foreign investment, but also in the question of ruble convertibility and exchange rates.

While the shock therapy economists have generally dominated policy making, certainly since El'tsin took Gaidar into his government, they have had to cope with very strong and persistent pressure from those holding to other "ideologies" of Russian privatisation. This pressure comes not only from the general population, but also from members of various important elites and from within the government itself.

Privatisation legislation and programmes. The balance of those pressures is evident in the general legislative record. Ever since privatisation moved onto the legislative agenda in the last year or so of Gorbachev's presidency, the stress has been on putting the ownership of enterprises into divisible and transferable form, with the most likely beneficiaries being professional investors, i.e. the "sell to the highest bidder" approach. However the workforce and citizen ownership models have also been evident.

